ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 3868/01
15/04/2019

3868-01-2-201904151644

შპს „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი ქარსელაძეს

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის № 12

ბატონო ირაკლი,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ბაკურციხე-წნორის (16კმ) საავტომობილო გზის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში დასაზუსტებელია რიგი საკითხები, კერძოდ:

1. გზშ-ს ანგარიშით სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია ცხრილის სახით N4.2-4 „ხიდების რაოდენობა და მათი მონაცენები“ მოცემულია ზოგადი ინფორმაცია სახიდე გადასასვლელების, ხევების და სხვადასხვა სადრენაჟო არხების საპროექტო გადაწყვეტის, საინჟინრო კონსტრუქციების ზოგადი პარამეტრები. გზშ-ის ანგარიშით ზემოაღნიშნული ინფორმაცია მოცემულია მხოლოდ გზის ე.წ პიკეტაჟების აღწერით. შესაბამისად, გთხოვთ, დამატებით წარმოდგენილ იქნას დეტალური მონაცემები პროექტით განსაზღვრული ხაზობრივი ნაგებობების მდებარეობის, მათი ფუნქციური დატვირთვის შესახებ (ე.წ ლეგენდა). ამასთან, თითოეულ საინჟინრო-ტექნიკურ გადაწყვეტაზე წარმოდეგნილ უნდა იქნეს დამატებითი ინფორმაცია გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების კუთხით.
2. გზშ-ს ანგარიშით წარმოდგენილია ცხრილი 4.8.1. „საპროექტო გზის გადამკვეთი გამანაწილებელი სარწყავი არხები“, სულ, გზის პიკეტაჟის მიხედვით მოცემულია 34 ერთეულის გადაკვეთა. ვინაიდან, საპროექტო გზა გადაკვეთს ზემოაღნიშნულ გამანაწილებელ არხებს, არსებული სარწყავი სისტემის შენარჩუნების მიზნით წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია გზის გადამკვეთი დამატებით მილების მოწყობა. გარდა ამისა, გათვალისწინებულია მთლიანი საირიგაციო ინფრასტრუქტურის მოდიფიცირება. კერძოდ, დაგეგმილია, არსებული სარწყავი სისტემის დაგრძელება, რაც მოიცავს ახალი წყალშემშვები კვანძის მშენებლობას, მილსადენის ჩადებას, წყალსაშვი კვანძის მშენებლობას წყლის გამანაწილებელ არხებში გადინების უზრუნველსაყოფად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით,

გთხოვთ სამინისტროში წარმოდგენილ იქნას სარწყავი სისტემის მოდიფიცირებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის, აღნიშნული სამუშაოების განხორციელების შესახებ შპს ,,საქართველოს მელიორაციასთან" შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3. გზშ-ის ანგარიშით არ არის წარმოდგენილი საპროექტო გზის სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, რომელიც უნდა მოიცავდეს შესაბამის ფაზებს სამუშაოების განხორციელების თანმიმდევრობის და ვადების შესახებ ვინაიდან, სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა დაკავშირებულია გარემოზე ზემოქმედების საკითხებთან.
4. დამატებით წარმოსადგენია ინფორმაცია საპროექტო გზის ფარგლებში გრუნტის წყლის გავრცელების, დონეების, მინერალიზაციისა და შემადგენლობის შესახებ, ამასთან წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია საპროექტო არეალში წყაროების შესახებ ჰიდროგეოლოგიური მონაცემების (დებიტები, შემადგენლობა, მინერალიზაცია და ა.შ. რომლებიც მშენებლობის პროცესში გამოყენებულ იქნება წყალმომარაგების მიზნით და გაანგარიშება, თუ რა რაოდენობის წყლის რაოდენობა, იქნება საჭირო წყალმომარაგებისა და ტექნიკური საჭიროებებისათვის) მითითებით.
5. წარმოდგენილი უნდა იქინეს ასევე ინფორმაცია გეოლოგიურ, ჰიდროგეოლოგიურ და საინჟინრო-გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებისა და პრევენციული ღონისძიებების გატარების შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. გთხოვთ, შესაძლოდ მოკლე ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა სამინისტროში, რის შემდგომაც, სამინისტრო უზრუნველყოფს ადმინისტრაციული წარმოების დასრულებას და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე